საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 4987
13/09/2018

4987-0-4-201809131213

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის მომზადების მიზნით სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე" და „ე.ვ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს მე-13 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის მომზადებისას, სამუშაო პროცესში შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის შეიქმნას სათათბირო ორგანო - საბჭო (შემდგომში- „საბჭო") შემდეგი შემადგენლობით:

1. მაია ქუტიძე - ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს დირექტორი - საბჭოს ხელმძღვანელი
2. გოჩა კილაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;
3. ანა ჩუბინიძე - ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

3. თენგიზ ტყეშელაშვილი - შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" გურიის რეგიონის უფროსი კოორდინატორი - საბჭოს წევრი;

4. კახა ღლონტი - სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო"-ს გურიის სატყეო სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

5. ლევან ხინთიბიძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი"-ს აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს წევრი.

6. გიორგი ჩხაიძე - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს სახაზო საპატრულო სამმართველოს სახაზო საპატრულო სამსახურის უფროსი (ქალაქ ოზურგეთში) - საბჭოს წევრი;

მუხლი 2. საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის მომზადებისას საბჭომ იხელმძღვანელოს და შეასრულოს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს მე-13 მუხლისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მხარეთა გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია